# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 25 დეკემბერი 2004 №300 (2321) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაიხარეთ!

## საქართველოს სიხარულის სიხარულს მთელი საქართველო დალოცავს



ბადრი კეთილაძის ფოტო

### „ზურაბ ზვიადაურმა რჩეულს ხელი „სარბიელში" სთხოვა

*ზურა:* მაშინ ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, რომელიც არც ერთმა არ იცით და, სხვათა შორის, არც ჩვენმა ოჯახებმა იციან. მე ცოლი 25 დეკემბერს მომყავს. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

*ხათუნა:* ბარემ წელიც დააკონკრეტე.

*ზურა:* ვაკონკრეტებ: 2004 წლის 24 დეკემბერს, გაზეთ „სარბიელის" რედაქციაში, თვალებში ჩაგხედავ, მარჯვენა ხელს გულზე დავიდებ, მარცხენას ზემოთ ავწევ და გეტყვი: ხვალ ჩვენ ცოლ-ქმარი ვიქნებით.

ღვინით სავსე ჭიქით წასაკითხი ინტერვიუ იხილეთ მე-13 გვერდზე

# დინამოდან მონასტერში

## ფრთხილად, სათუთია!

## ჯაბა კანკავა სულის სიმშვიდეს ეძებს

## გოგიტა გოგუას ავსტრია იწვევს



ბადრი კეთილაძის ფოტო

ერთხელ ალენ ჟირესს 18 წლის ჯაბა კანკავაზე დაეკითხნენ და, ჩვენი ეროვნული ნაკრების დამრიგებელმა თქვა, ამ ასაკის ფეხბურთელის ფსიქიკა და მთლიანად ორგანიზმი ძალიან სათუთია და ასეთ ფეხბურთელებს მეტისმეტად ფრთხილად უნდა მოვექცეთო.

თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა და კანკავა კი პირობებზე ვერ თანხმდებიან. როცა კანკავამ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა, მაშინ ის „დინამო 2"-ის ფეხბურთელი იყო, მაგრამ ამ სეზონში კანკავა „დინამოს" წამყვან ფეხბურთელად იქცა.

საქმე ისე მოტრიალდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ კანკავა მალე სხვა გუნდში გადავა, მაგრამ ყველაზე საფრთხილო ისაა, რომ ამ ყმაწვილს ფსიქიკა არ გაუფუჭდეს — კანკავა ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელი დღეა.

ამასობაში „დინამოს" მიერ ტრანსფერზე დაყენებული სანდრო იაშვილი დღეს ბელარუსიდან სამშობლოში ბრუნდება, მაგრამ რომელ გუნდში, ჯერ არავინ იცის.

გუშინ ერთიც შევიტყვეთ — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 21 წლის შუახაზელ გოგიტა გოგუას ვენის „ავსტრია" ოფიციალურად ითხოვს „თბილისისგან" და საწყის თანხასაც ასახელებს ვაჭრობის დასაწყებად.



ბადრი კეთილაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამოდან მონასტერში

## საფარაში წასული ჯაბა კანკავა ახალ თავშესაფარს ეძებს

18 წლის ჯაბა კანკავა, შესაძლოა, თბილისის „დინამოდან" წავიდეს, წავიდეს კი არა, კულუარებში უკვე ლაპარაკობენ, რომ მან „დინამო", ფაქტობრივად, უკვე დატოვა. როგორც შევიტყვეთ, მიზეზი კლუბსა და ფეხბურთელს შორის პირობებზე შეუთანხმებლობაა. რა და როგორ იყო, ვერ გეტყვით, თუმც ვიცით, რომ კანკავა და „დინამოს" ხელმძღვანელობა ბოლოს გუშინ შეხვდნენ ერთმანეთს და საერთო ენა ვერ გამონახეს



— ჩემპიონატი რომ განახლდება, ჯაბა კანკავა ისევ „დინამოში" ითამაშებს? — ვკითხეთ გუშინ „დინამოს" მმართველ დირექტორს დავით პეტრიაშვილს.

— რა თქმა უნდა, კანკავა „დინამოს" ფეხბურთელია — იყო მისი პასუხი.

— ამბობენ, ჯაბა კანკავას „დინამოში" თამაში აღარ სურსო და მეც იმიტომ გკითხეთ...

— კანკავა „დინამოს" ფეხბურთელია, მას კლუბთან კონტრაქტი აქვს და ვალდებულია, 5 იანვარს შეკრებაზე გამოცხადდეს.

— თუ არ გამოცხადდა?

— „დინამოში" რეჟიმის დარღვევისთვის ყველა ფეხბურთელი ჯარიმდება. ჯაბაც, თუ შეკრებაზე არ მოვა, დაჯარიმდება, რა თქმა უნდა, საპატიო მიზეზს არ ვგულისხმობ. „დინამოში" რეჟიმის დამრღვევი ყველა ფეხბურთელი ისჯება. ყველა კონტრაქტში ეს შავით თეთრზე წერია.

საქმეც სწორედ კონტრაქტშია. ჯაბა კანკავამ არსებული კონტრაქტით „დინამოში" სამი წელი უნდა ითამაშოს, თუმც ჯერ ექვსი თვე აქვს ნათამაშევი. „დინამოს" კოზირი ხელში აქვს. კანკავა იურიდიულად „დინამოს" ეკუთვნის და შესაძლოა, რეჟიმის დარღვევისთვის კლუბმა მის მიმართ იურიდიული სანქციებიც გამოიყენოს. „დინამოს" ამ საქმეში ვერავინ შეედავება. თუმც არის მეორე, მორალური მხარეც: როცა ფეხბურთელმა „დინამოდან" წასვლის სურვილი გამოთქვა და ხელმძღვანელობა მას სანქციებით დაემუქრა, ჯაბა კანკავამ თქვა, მაშინ ფეხბურთს საერთოდ აღარ ვითამაშებო. ამით გულმოსული ბიჭი საფარის მონასტერში წავიდა და სამი დღე იქ გაატარა...

თავად ჯაბა მონასტერში წასვლის მიზეზად მასსა და „დინამოს" შორის მომხდარს არ ასახელებს...

— მონასტერში მართლაც ვიყავი, ოღონდ „დინამო" არაფერ შუაშია, საფარაში სულიერი სიმშვიდე მოვიპოვე.

ფეხბურთელი არც იმას ამბობს, რომ „დინამოსთან" უთანხმოება აქვს...

— დღესდღეობით „დინამოს" ფეხბურთელი ვარ. სხვას ვერაფერს გეტყვით.

**— „დინამოსთან" კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

— სამწლიანი კონტრაქტი მაქვს, აქედან ნახევარი წელი „დინამოში" ვთამაშობ.

**— და რა მოხდა, „დინამოსთან" შენი ურთიერთობა რატომ გამწვავდა?**

— ვერაფერს გეტყვით.

**— გუნდის უფროსობას ბოლოს როდის შეხვდი?**

— გუშინ.

**— და რა თქვით?**

— მნიშვნელოვანი არაფერი.

**— შენს კონტრაქტზე არ გისაუბრიათ?**

— ვისაუბრეთ.

**— მერე?**

— ვერაფერს გეტყვით.

**— რა გადაწყვიტეთ?**

— არაფერი, ხუთ იანვრამდე ყველაფერი გადაწყდება.

**— გავიგეთ, უცხოური გუნდები გეპატიჟებიან...**

— არავინ მეპატიჟება...

ძნელია, ჯაბა კანკავას სიტყვებს რაიმე კომენტარი გაუკეთო. ეგებ, ის, რაც დღევანდელ „სარბიელში" წერია, არც ესიამოვნოს...

სხვათა შორის კი გეტყვით, რომ ჯაბა კანკავას მართლაც სერიოზული უცხოური გუნდები ეპატიჟებიან, საქართველოს სხვა გუნდებში გადასვლაზე ლაპარაკიც არ არის და მთავარი: წლეულს დინამოელთაგან საუკეთესოს თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესოს მსურველი კლუბი, როგორც შევიტყვეთ, ამ დღეებში გამჟღავნდება.

**კობა ინასარიძე**



# ავსტრია ითხოვს და ფულსაც იხდის

## გოგუას ვენაში ეპატიჟებიან

საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე მეტი საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი „თბილისს" რომ ჰყავს, ამას ბევრი სპეციალისტი დაგიდასტურებთ, ჰოდა, „თბილისის" ჯეელებზე დიდი მოთხოვნილებაა.

გოჩა ხოჯავა, ორი გიორგი, ნუგზარის და ნოდარის ძე ჭელიძეები, გოგიტა გოგუა — მეტწილად ამ ფეხბურთელების წაყვანა სურთ რაგინდარა კლუბებს. „თბილისის" სამწვრთნელო შტაბი, ლუის ცაკარიასი და გოჩა თამაზაშვილი ახლა გერმანიაში არიან და მათგან გაიჟღერა, რომ ხოჯავათი და გოგუათი „შალკე" დაინტერესდა, ხოლო ნუგზარის ძე ჭელიძით „ვერდერი".

გუშინ კი „თბილისის" ოფისში ოფიციალური მოთხოვნა მოვიდა — გოგიტა გოგუას შეძენა ავსტრიულ „აუსტრიას" სურს. „აუსტრიამ" თბილისელებს კონკრეტული თანხაც კი შესთავაზა 21 წლის ნახევარმცველში და ახლა ჯერი „თბილისზე" და გოგუაზეა.

„აუსტრია" ავსტრიულ მაქსბუნდესლიგაში ახლა მეორე ადგილზეა და თანაქალაქელ ვენის „რაპიდს" ოდენ ქულით ჩამორჩება.

„აუსტრიას" წარმომადგენლებმა გოგუას თამაში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ნახეს, როცა აქ საინტერესო ახალგაზრდების აღმოსაჩენად იყვნენ ჩამოსულები შემოდგომაზე.

**დავით თავართქილაძე**

# დახლართულმა ასმ იცის

## იაშვილი თბილისში ბრუნდება



19 წლის სანდრო იაშვილი თბილისის „დინამოს" საკუთრებაა და მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპი განათხოვრების წესით „თბილისში" ითამაშა. რამდენიმე დღის წინ კი იაშვილს შოტლანდიური პრემიერლიგის „ჰართსში" გადასვლის ვარიანტი შესთავაზეს, მაგრამ მინსკის ბილეთი აუღეს და ბელარუსში ჩაიყვანეს.

ამ ჩახლართული საქმის წამომწყები ახრიკ ცვეიბა გახლდათ, რომელიც ანატოლი ბიშოვეცს დაუკავშირდა, ვინც „ჰართსის" სელექციონერია, ხოლო „ჰართსის" მფლობელი ლიტველი ბანკირი ვლადიმირ რომანოვია.

რა ხლართიცაა, გასაგებია, მაგრამ რასა იქმს იაშვილი? ამ უცნაურ სატრანსფერო პერიპეტიაზე ბევრ ვერსიას მოისმენთ, მაგრამ სანამ ყველაფერი მკაფიოდ დადგინდება, გეტყვით, რომ იაშვილი დღეს თბილისში ბრუნდება — ასეთია ჩახლართული საქმის ფინალი.

**დავით თავართქილაძე**

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
ჩვენს თანამშრომელს
ჯუმბერ გეგუჩაძეს მამის
ვლადიმერ გეგუჩაძის
გარდაცვალების გამო

ფეხბურთის კლუბი „ამერი" თანაუგრძნობს
ჯუმბერ გეგუჩაძეს მამის
ვლადიმერ გეგუჩაძის
გარდაცვალების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორჩა! ჯანმრთელობის ფასი არაფერია
# აშვეთია მორჩა



*მორჩა! მიხეილ აშვეთია წყეული ტრავმისგან საბოლოოდ განიკურნა. გუშინ ქართველი ფეხბურთელი ერთხელაც გაესინჯა ექიმებს და მწვანე შუქიც აენთო — აშვეთიას მოედნისკენ გზა გაუხსნეს.*

*ალბათ შეხსენებაც არ გჭირდებათ, რომ მოსკოვის „ლოკომოტივისა" და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელისთვის ეს სეზონი საშინლად უიღბლო გამოდგა — მიხომ ზედიზედ ორი უმძიმესი ტრავმა მიიღო და ფეხბურთს თვეობით ჩამოშორდა.*

*აშვეთია ახლა მოსკოვშია, მკურნალობის კურსი იქვე დაასრულა და გუშინ ჩვენთან საუბარიც არ დაიზარა...*

— დღეს ამომიღეს ნაკერებიდან ძაფები და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ექიმები კმაყოფილები დარჩნენ. ფეხი საერთოდ აღარ მაწუხებს და მეც ძალიან გახარებული ვარ.

**— ოპერაციის დროს ფეხში ლითონი ჩაგიდგეს. ადრე ამბობდი, შეიძლება არც ამოვიღოო და ხელმეორე ოპერაციის გაკეთება მაინც გადაწყვიტე?**

— ასე მირჩიეს და მეც დავთანხმდი.

**— სიარული აღარ გიჭირს?**

— არა, ყველაფერი კარგადაა. თავისუფლად დავდივარ და 5 იანვარს გუნდთან ერთად ვარჯიშსაც დავიწყებ.

**— რაც დაშავდი, მას შემდეგ საერთოდ არ გივარჯიშია?**

— ძუნძულის დაწყებას ვაპირებდი, მაგრამ მოვერიდე. თან ამ ოპერაციის გაკეთებაც რომ გადავწყვიტე, ექიმებმა მითხრეს, ზედმეტად არ დაიტვირთო, ნაკერები არ გალიზიანდესო. სადაც ამდენი ვითმინე, ამასაც დავთანხმდი.

**— მოკლედ, ახლა აღარაფერი გაწუხებს...**

— მადლობა ღმერთს, მოვრჩი. ტრავმა ვის უხარია, მაგრამ ასეთი საშინელება თუ იქნებოდა, ჴრ მეგონა.

**— 5 იანვარს სრული დატვირთვით ალბათ ვერ დაიწყებ ვარჯიშს...**

— თანდათან მოვუმატებ დატვირთვებს, მაგრამ ეგ არაფერი. მთავარია, ბოლოს და ბოლოს მოედანზე გავდივარ.

**— ფსიქოლოგიურად ხომ არ გიჭირს? არ გეშინია?**

— არა, ექიმებმა დამარწმუნეს, რომ უკვე ჯანმრთელი ვარ. შიშზე არც კი ვფიქრობ.

**— მალე ახალი წელი დადგება და რა იქნება მიხეილ აშვეთიას საახალწლო სურვილი?**

— ჯანმრთელობა. მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და დანარჩენს თავადვე მივხედავ. ადრე ბევრ რამეზე ვოცნებობდი, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ ჯანმრთელობაზე ძვირფასი არაფერია.

**— მით უმეტეს, ასეთი სეზონის მერე...**

— ეს კოშმარი იყო. ასეთი რთული წელი ჯერ არ მქონია. ფაქტობრივად, ექვსი თვე უქმად ვიყავი. საშინელებაა...

**— „ლოკომოტივზეც" ვთქვათ. გუნდის ხელმძღვანელობა საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელების გადაბირებას აპირებს...**

— არა მგონია, ბევრი ახალწვეული გვყავდეს. ალბათ ორ-სამ ფეხბურთელს თუ იყიდიან, მეტი არც გვჭირდება.

**— რამდენიმე ფეხბურთელს კლუბმა კონტრაქტი გაუგრძელა და შენთვისაც ხომ არ შემოუთავაზებიათ იგივე?**

— არა. მე კიდევ ორი წლით ვეკუთვნი „ლოკომოტივს" და ჩემთან კონტრაქტის გაგრძელება ჯერ საჩქარო არ არის.

**— „ლოკომოტივს" მოსკოვში საფირმო მაღაზიაც გაუხსნია, სადაც შენი მაისურაც იყიდება...**

— ეგ მეც გავიგე, ინტერნეტში წავიკითხე და ამ დღეებში აუცილებლად მოვინახულებ. მაინტერესებს, როგორი მაღაზიაა...

**— შენს ერთ-ერთ კონკურენტს, კოსტარიკელ ვინსტონ პარკსს უთქვამს, ნაკრებში თამაში არ მინდა, „ლოკომოტივის" ძირითადში მოსახვედრად უნდა ვიბრძოლოო...**

— თავისი საქმის თვითონ იცის. მე კი ნაკრებში თამაშზე უარის თქმა სისულელე მგონია.

**— ნაკრებსაც მივადექით და, თებერვალში საქართველოს ნაკრები ლიტვას ეთამაშება...**

— არ ვიცი, ამ დროისთვის ვიქნები თუ არა ფორმაში, მაგრამ ნაკრებში დაბრუნება რომ ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ფაქტია.

**— მარტში კი თურქეთთან თამაშია, მერე საბერძნეთთან...**

— ვიცი და მინდა, ამ თამაშებისთვის მაინც დავეხმარო ნაკრებს. მთავარია, თამაში დავიწყო და...

**— ახალ წელს სად შეხვდები?**

— ორშაბათს საქართველოში ვიქნები.

**ქახა შალამბერიძე**





# მალხაზ ასათიანი ინტერრუსულ ინტერიერში

**ყოველკვირეულ** ჟურნალ „ფუტბოლის" ტრადიციული გამოკითხვით, 2004 წლის რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელი ლოკომოტიველი დმიტრი სიჩოვი გახდა.

ჩვენთვის კი ეს გამოკითხვა იმითაა საინტერესო, რომ რკინიგზელთა ქართველი ლეგიონერი მალხაზ ასათიანი მეცხრამეტე ადგილზე გავიდა.

გამოკითხვაში, რომელიც 41-ედ ჩატარდა, 240 ჟურნალისტი მონაწილეობდა. სიჩოვმა 335 ქულა დააგროვა. მეორე და მესამე ადგილები კი ზენიტელებს — ალექსანდრ კერჟაკოვს (305 ქულა) და ანდრეი არშავინს (202) ერგოთ.

ასათიანს 9 ქულა დაუგროვდა. სულ კი ჟურნალისტებმა 47 ფეხბურთელი დაასახელეს — ლეგიონერიც და რუსულ პრემიერლიგაში მოთამაშეც. ჩვენებურზე წინ მხოლოდ ოთხი ლეგიონერი გავიდა: ბრაზილიელები — ლიმა და ვაგნერ ლავი, ჩეხი ირჟი იაროშიკი და ხორვატი ივიცა ოლიჩი.

**ლუკა თალაკვაძე**

# ფეხბურთის ფედერაციამ უეფა და პლატინი დაპატიჟა
## ჟორდანიამ მსაჯებს ფიფას მადლობა ჩააბარა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გუშინ წარჩინებულ ქართველ მსაჯებს ფიფასგან მიღებული სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. პრეზიდენტმა დააჯილდოვა ფიფას არბიტრები ლევან ფანიაშვილი, მერაბ მალაღურაძე, ლევან სილაგავა; ასისტენტის წოდება ერთხელაც დაუდასტურა ლევან მიქელაძეს, ზურაბ მენთეშაშვილს, მამუკა ელიკაშვილს... მსაჯთა და საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკომ კი ამ მსაჯთა კარგ გარჯაზე, ქართველ არბიტრთა აკადემიაზე ისაუბრა, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ჯერჯერობით ერთადერთია. მსაჯთუხუცესმა ყველა მსაჯსა თუ მათ მასწავლებელს მადლობა უთხრა ნაყოფიერი შრომა-გარჯისთვის...

...მანამდე კი ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშე ლევან სალუქვაძეს ახალ სამსახურში დებიუტი ჰქონდა და როგორც ყოველთვის, გუშინაც ცხელ-ცხელ ამბები გვამცნო.

ლევან სალუქვაძის თქმით, ფეხბურთის ფედერაციამ წამოიწყო კამპანია, რათა უახლოეს სამ წელიწადში უეფას ყრილობა საქართველოში ჩატარდეს. ჩვენების თხოვნას უკვე გამოეხმაურნენ ევროპული ფედერაციების ხელმძღვანელები და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მხარდაჭერაც აღუთქვეს.

...2005 წლის სექტემბერში მაროკოში ფიფას კონგრესი გაიმართება და ამასთან დაკავშირებით ევროპისა და აფრიკის ფეხბურთის ფუნქციონერთა მატჩი გაიმართება. ევროპის ნაკრების კაპიტანმა მიშელ პლატინიმ კი თავის გუნდში მერაბ ჟორდანია მიიწვია — ამ მატჩში თქვენი დახმარების დიდი იმედი მაქვს — შემოუთვალა მიშელ პლატინიმ ჟორდანიას.

...ისრაელიდან, სამხრეთ აფრიკიდან და ესტონეთიდან ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო შეტყობინებანი, რომ ისინი მზად არიან საქართველოს ნაკრებთან საპასუხო ამხანაგური მატჩი ჩაატარონ. ახლა თარიღები უნდა დაზუსტდეს.

...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კურატორად უეფამ მალტელი იოზეფ მიფსუდი დაამტკიცა. ის ამავდროულად უეფას იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეა და კონკრეტულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები მას 2 თებერვალს შვეიცარიაში შეხვდებიან.

...ფიფასა და უეფას აღმასკომთა წევრი, მომავალში უეფას პრეზიდენტობის კანდიდატი მიშელ პლატინი თბილისს საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ უახლოეს შესარჩევ მატჩზე დასასწრებად ესტუმრება. პლატინის ვიზიტის თარიღი და დეტალები თებერვალში, თავად პლატინისა და ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრისას დაზუსტდება.

**ლუკა თალაკვაძე**

გოჩა ტყებუჩავას ახალგაზრდულმა ნაკრებმა შესარჩევი ციკლი ცუდად დაიწყოო, კაციშვილი ვერ იტყვის. თურქულმა ფრემ და ალბანეთთან საშინაო მოგებამ ბევრს ეგებ ჯგუფიდან გასვლის იმედიც ჩაუსახა, მაგრამ ამას მოჰყვა ოყნასავით 0:6 უკრაინაში, მერე დანიასთან მარცხი და იმედებიც ჩაილურის წყალმა წაიღო.

„მოედანზე აგრესიას ვითხოვ, ბიჭები თვალებიდან ცეცხლს უნდა ჰყრიდნენ და უნდა იცოდნენ, რომ სამშობლოსთვის იბრძვიან. იციან კიდეც — ჩემი შეგირდები ყოველი სანაკრებო თამაშის წინ საქართველოს ჰიმნს მღერიან. და მაინც, თავზესაყრელი პრობლემა გვაქვს, რაც ძირიდან მოდის". — ასეთია ტყებუჩავას სამწვრთნელო-საალმზრდელო კრედო...

# რა ვქნა, რომ ძალა არ გვეწყალობს

## ებრაელი ებრაელს ეომება და ჩვენ დანიას არ ვეომოთ?!



— თუ რამე არ მომწონს ქართულ ფეხბურთში, ეს პირველ რიგში არაათლეტურობაა. დანიამ ხომ ათლეტიზმში მაგრად გვაჯობა, მაგრამ იქაც შეგვეძლო გარდატეხის შეტანა, როდესაც გეწაძემ ასპროცენტიანი მომენტი გააცუდა და სწორედ ამ დროს კონტრშეტევაზე დაგვიჭირეს. მარტის მიწურულს ჯერ ბერძნებს ვმასპინძლობთ, მერე თურქებს და აქ მაქსიმუმი უნდა გავიღოთ, თუმც ბიჭებს ფსიქოლოგიურად არ გადავტვირთავ.

— თქვენ ხშირად გითქვამთ, პირველ რიგში არწაგებას და გოლის არგაშვებას ვითხოვო. დაცვით ფეხბურთს ანიჭებთ უპირატესობას?

— ტაქტიკას გააჩნია. რა დავალებებსაც ვაძლევ ფეხბურთელებს, წესით, გოლი არ უნდა გავუშვათ...

— ეს როგორ გავიგოთ? ცოდნა ერთია, მაგრამ შესრულება ხომ უნდა...

— ოთხ მცველს დავუმატოთ ორი საყრდენი და ორიც განაპირა ნახევარმცველი. ასე ვთამაშობთ და როდესაც მეტოქე გვიტევს, ფაქტობრივად, რვა ფეხბურთელი იცავს კარს. როდესაც ჩვენს ნახევარზეა ბურთი, სწრაფ კონტრშეტევას ვირჩევთ. თუმცა, ამას ხშირად ვერ ვასრულებთ, რადგან ფეხბურთელებს ფიზიკური კონდიციები არ ჰყოფნით.

— საინტერესოა, რატომ გვჯობნის თითქმის ყველა გუნდი ფიზიკურად და როგორ უნდა გამოსწორდეს ასეთი მდგომარეობა?

— საქართველოში მიმდინარე მწვრთნელთა B ლიცენზიის კურსებს მეც გავდივარ და იქ ისეთი რამეები შევიტყვე, თვალები შუბლზე ამივიდა. თურმე რამდენი რამ გვაკლია. არ გვცოდნია, ბავშვებს ფიზიკური აღზრდის მხრივ როგორ უნდა მივუდგეთ.

— 9 თებერვალს ამხანაგურ მატჩში ლიტვას ეთამაშებით. საამატჩოდ ახალ ფეხბურთელებს ხომ არ გამოიძახებთ?

— თუ აკვირდებით, თითოეული მატჩისთვის მინიმუმ ერთ ახალ ფეხბურთელს ვიძახებ. ახლა ლიტვის ჩემპიონატში მოთამაშე დავით ჭილაძეზე მივიღე ინფორმაცია, იგი კლუბში სისტემატურად თამაშობს მარჯვენა მცველად.

— რატომ ხდება, რომ თქვენს შეგირდებს ძალიან ხშირად აძევებენ მინდვრიდან?

— კახა ალადაშვილის მაგალითს მოვიყვან. კახამ თავად თქვა, მსაჯისთვის არ შემიფურთხებიაო და მეც ასე მგონია, თუმც ეს არაა მთავარი. ალადაშვილი უკვე 21 წლისაა და ჩემი მითითება არ უნდა სჭირდებოდეს, რომ 0:6-ზე ცენტრში უხეში „პედკატი" არ გააკეთოს. კი, „პედკატს" მე თვითონ ვთხოვ ფეხბურთელებს, მაგრამ მის გაკეთებასაც ცოდნა უნდა, დრო და ადგილიც უნდა შეარჩიო. შეგირდების უხეშობას რითი მოვერიო, როგორ დავსაჯო ისინი, როდესაც თავად დაისაჯეს თავი — გოგუასა და ციმაკურიძეს იმ გაძევებების გამო სამი მატჩი რომ არ გამოეტოვებინათ, იქნებ ისე ეთამაშათ, რომ ალენ ჟირესს ეროვნულ ნაკრებში მიეწვია...

— ყველას აინტერესებს, რატომ არ იძახებთ ნაკრებში სანდრო იაშვილს?

— ძალიან მინდა, რომ იაშვილმა სტაბილურად ითამაშოს. შანსს ყველას მივცემ, მაგრამ ფეხბურთელმა სიძლიერეში უნდა დამარწმუნოს. ნაკრები კლუბი არ არის, ერთი-ორი მატჩი ჩააგდო და ვითომაც არაფერი... ისრაელში რომ ვთამაშობდი, ყოველი მატჩის წინ გულშემატკივრებისგან შეძახილი ისმოდა „მირხამა, მირხამა". რომ ვიკითხე, „მირხამა" თურმე ომს ნიშნავს. წარმოიდგინეთ, ებრაელი ებრაელს ეომება და ქართველი დანიელს არ უნდა ეომოს?! ამას იაშვილზე არ ვამბობ, ისე, ზოგადად მოვიყვანე მაგალითად.

— საბოლოო ჯამში ისე გამოდის, რომ უმთავრესი პრობლემა ფეხბურთელების ფიზიკური სისუსტეა...

— დიახ, წეღან გოლის არგაშვებაზე რომ მკითხეთ, იცით, რატომ ვთამაშობთ ჩვენს ნახევარზე? იმიტომ, რომ შეტევაში წასულები უკან სწრაფად ვერ ვბრუნდებით. B ლიცენზიის სამწვრთნელო კურსებმა ძალიან ბევრი რამ მასწავლა. გარდა ამისა, 10 იანვარს მე და ნიკა ჩხეიძე ტულუზში მივდივართ, სადაც „ტულუზსა" და „ბორდოს" დავაკვირდებით, როგორ მუშაობენ. ვიცი, რომ იქიდან დიდ ცოდნას ჩამოვიტან. ეს მივლინება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაგვიკეთა, ხოლო ფრანგულ კლუბებს ალენ ჟირესი მოელაპარაკა ჩვენს ჩასვლაზე.

**ილია ნანოგაშვილი**

# ყველაფერი ახალი ახალი წლის მერე

## გიორგი ადამიას ელის

*სხვა ქართული კლუბების მსგავსად, ახლა „ვიტ-ჯორჯიაშიც" ზამთრის არდადეგებია. კლუბი ხვალ იკრიბება, ხოლო ახალი წლის შემდეგ უცხოურ შეკრებასაც შეუდგება. ვეტერინართა ძველ-ახალი მესაჭე ჯანი კარნევალი ჩემპიონატის მეორე ეტაპიდან მეტ-ნაკლებად შეცვლილ შემადგენლობას ათამაშებს — რამდენიმე ფეხბურთელი უეჭველად დატოვებს „ვიტ ჯორჯიას" და ეგებ მათ შორის გიორგი ადამიაც იყოს. ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ ფორვარდს ახალი კლუბის მონახვა ალბათ არ გაუჭირდება, მაგრამ ვიტელებთან კონტრაქტს ჯერ ვადა არ გასვლია...*

— გუნდიდან ჯერ არ წამოვსულვარ, კონტრაქტი გაისად ივნისამდე მაქვს და არ გამოვრიცხავ, ეს სეზონი „ვიტ ჯორჯიაში" ჩავამთავრო.

— წასვლა რომ გსურს, ამის შესახებ „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობას არ ესაუბრე?

— ჯერ არა, ახალი წლის შემდეგ გაირკვევა ყველაფერი. წასვლა მართლა მინდა და ეგებ კლუბმაც არ დამაბრკოლოს.

— რამდენიმე კლუბი უკვე შეგეხმიანებოდა...

— კონკრეტული წინადადებები არ ყოფილა, თუმც რაღაც ვარიანტები მაქვს. უფრო ნაახალწლევს გადაწყდება ეს ამბავი...

— რუსულ „კამაზში" გადასვლის ვარიანტი ერთხელ უკვე ჩაგეშალა. იქ თამაშს გამორიცხავ?

— არა, რატომ, „კამაზიც" შეიძლება და რამდენიმე სხვა გუნდიც, თუმც რეალურად ჯერ არაფერი ისმის.

— „ვიტ ჯორჯიას" საქართველოს ჩემპიონატში არცთუ კარგად მისდის საქმე. რას აბრალებ ამ ჩავარდნას?

— რა გითხრა, ეტყობა, სათანადოდ ვერ მოვემზადეთ. წინა სეზონში ჩემპიონები რომ გავხდით, ვიფიქრეთ, ეგრე გავაგრძელებთ და იოლად მოვიგებთ თამაშებსო. არადა, მაგარი წინააღმდეგობა შეგვხვდა ლამის ყველა მატჩში. ჩვენი ბრალიცაა, ბევრი მოსაგები თამაში გავანიავეთ.

— საკუთარ თავზე რას იტყვი. საერთო შეფასებით, შარშანდელზე უკეთ თამაშობ...

— ეს უფრო ჩემპიონატის მეორე წრეზე ითქმის. ბოლო ტურებში შევედი ფორმაში.

— შენი აზრით, საქართველოს ჩემპიონობის ყველაზე კარგი შანსი ვის აქვს?

— მთავარი ბრძოლა, ალბათ, „დინამოსა" და „ტორპედოს" შორის იქნება. მაინც უფრო „დინამო"...

— „ვიტ ჯორჯიაში" თუ დარჩი, ჩემპიონობას არ დაუმიზნებ?..

— „დინამო" და „ტორპედო" საკმაოდ გვისწრებენ, მაგრამ ჩვენსას ვეცდებით. ჩემპიონობისა რა გითხრათ, მაგრამ ევროტურნირებზე გასვლა თავისუფლად შეიძლება. ფაქტია, ძალიან გაგვიჭირდება, თანაც, როგორც ვიცი, „ვიტ ჯორჯიადან" რამდენიმე ფეხბურთელი მიდის...

**ილია ნანოგაშვილი**



# მე ვრჩები

## გამეზარდაშვილი ხმებს იგერიებს

*თუ საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის სტატისტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ქუთაისის „ტორპედოს" ყველაზე ნაკლები, 11 ბურთი აქვს გაშვებული. რიონისპირელთა დაცვის საიმედოობა სხვებთან ერთად ქუთაისელთა მცველის დავით გამეზარდაშვილის კარგი თამაშის შედეგიცაა. „ბაიანა" პირველი ეტაპის სიმბოლურ ნაკრებშიც დამსახურებულად მოხვდა...*



— შენი აზრით, შეეძლო თუ არა „ტორპედოს", უფრო მეტი ქულა დაეგროვებინა?

— რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ხუთმატჩიან ჩავარდნას ვერც ჩვენ ავცდით და შინ დასანანი ქულები დავკარგეთ. არადა, ერთი ქულა და ერთპიროვნული ლიდერები ვიქნებოდით. ჩემი აზრით, ჩავარდნის მიზეზი მოკლე სათადარიგო სკამი იყო.

— „ტორპედოდან" წამყვანი ფეხბურთელები მიდიან, ასეთ შემთხვევაში გუნდს რა მიზნები ექნება?

— რა თქმა უნდა, საწყენია, როცა ძლიერი მოთამაშეები ტოვებენ გუნდს, მათი შეცვლა რთული იქნება, მაგრამ ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვეცდებით, კარგად დაწყებული საქმე ასევე კარგად დავასრულოთ.

— სეზონის ბოლოს რა შედეგი დაგაკმაყოფილებს?

— ჩემპიონობა ალბათ გაგვიჭირდება. ამიტომ ყველანაირად ვეცდებით, მეორე ადგილი და უეფას თასის საგზური მოვიპოვოთ.

— შენზე ბევრი მითქმა-მოთქმაა, ხან სად გიშვებენ და ხან სად, შენც ტოვებ „ტორპედოს"?

— ჩემამდეც მოდის ეს ხმები, ხან რუსეთში მიშვებენ, ხან სხვა ქვეყნებში, მაგრამ მე „ტორპედოში" ვრჩები, ივნისამდე კონტრაქტი მაქვს და მანამდე არსად მივდივარ, რა თქმა უნდა, თავად ხელმძღვანელობა თუ არ გამასხვისებს.

— როგორც ვიცი, „ზესტაფონი" ცდილობს შენ გადაბირებას?

— დამიკავშირდნენ და უარი ვუთხარი, სეზონის ბოლომდე ქუთაისში ვითამაშებ.

— გუნდი როდემდე ისვენებს?

— ახლა შვებულებაში ვართ, ნაახალწლევს შევიკრიბებით და როგორც გვითხრეს, შეკრებას უცხოეთში გავივლით.

**გია ამირანაშვილი**

# იანკულოვსკიმ მილანი აღიარა

## ჩეხს ჩეხთან თამაში არ აღირსეს

*მარეკ იანკულოვსკიმ აღიარა, რომ სეზონის ბოლოს ანუ ზაფხულში, სავარაუდოდ, „მილანში“ გადავა. მოგეხსენებათ, ჩეხი ნახევარმცველი „უდინეზეში“ თამაშობს. „სარბიელის“ მკითხველისთვის უდინელისა და „მილანის“ კავშირი უცხო არ არის, ამ თემაზე სწორედ ორიოდ დღის წინ მოგახსენებდით, მაგრამ მაშინ ეს ამბავი პირველი პირიდან არ იყო ცნობილი, ახლა კი ამაზე უშუალოდ იანკულოვსკი საუბრობს*

„ამჯერად მინდა „უდინეზეს“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაში შევუწყო ხელი, მაგრამ ამის შემდეგ ანუ მომავალი სეზონიდან მზად ვიქნები უფრო დიდ კლუბში გადავიდე და იქ მოვსინჯო ძალები — განუცხადა ჩეხმა გაზეთ „კორიერე დელო სპორტს“ — მე უკვე 28 წლის ვარ და ვფიქრობ, რომ კიდევ ერთი საფეხურით ამაღლებისთვის მოვწიფდი. ვიმეორებ, მზად ვარ „მილანის“ მსგავს დიდ კლუბში ვითამაშო“.

აქამდე, მოგეხსენებათ, ჩეხი ნახევარმცველი „იუვენტუსთან“ იყო დაკავშირებული. ხშირად იმეორებდნენ, რომ ტურინელები მასთან სადაცაა გამონახავდნენ საერთო ენას და კონტრაქტს გააფორმებდნენ, მაგრამ უკვე თავად იანკულოვსკისაც აღარ სწამს ამ ვარიანტის:

„ყოველთვის ვამბობდი, რომ დიდ მეგობართან, პაველ ნედვედთან ერთად მინდოდა თამაში და ამიტომ „იუვენტუსში“ სიამოვნებით გადავიდოდი, მაგრამ ვატყობ, რომ ამ სურვილს ასრულება არ უწერია. თავად განსაჯეთ, მარცხენა ფრთაზე „იუვენტუსს“ სწორედაც არავინ სჭირდება. იქ ტურინელებს უკან ჯანლუკა ძამბროტა და წინ თავად პაველ ნედველი ჰყავთ“.

საზაგადოდ კი, „ნაპოლის“ ყოფილი მოთამაშე მხოლოდ მარცხენაფლანგელი როდია, იგი უნივერსალური ფეხბურთელია და იტალიაში სწორედ ამიტომაც სცემენ დიდ პატივს.

და მაინც, რომელია იანკულოვსკისთვის ყველაზე მოხერხებული პოზიცია?

„ჩემი აზრით, უკეთ მაშინ ვთამაშობ, როდესაც მარცხენა ნახევარმცველად გამოვყავართ, მაგრამ მარცხენა მცველადაც არ ვგრძნობ თავს ცუდად. ერთი სიტყვით, არც ერთ პოზიციაზე თავს უხერხულად არ ვგრძნობ“ — პასუხობს ჩეხი.

აქვე დავძინოთ, რომ თავად კლუბი, „უდინეზე“ აცხადებს, რომ იანვარში არავის არ ჰყიდის, მაგრამ იმას, რომ იანკულოვსკი ზაფხულში წავა, არ უარყოფს.

**ბაჩუნა ძიდია**


ეროვნული ბიბლიოთეკა



**ალბერტო ძაკერონი** ამბობს, რომ ზაფხულამდე არც ერთ კლუბში არ მივა სამუშაოდ, თუმცა არის ერთი ვარიანტი...

# არა, მაგრამ...

## ძაკერონი რეალს უარს ვერ ეტყვის

შეგახსენებთ, რომ ძაკერონი ბოლოს „ინტერში“ მუშაობდა და გასული სეზონის მიწურულს იქიდან გაანთავისუფლეს. ახლა, როდესაც მიმდინარე სეზონი უკვე შუაწელსაა მიტანებული, ბუნებრივია, ძაკერონის ძალიან ბევრმა კლუბმა შესთავაზა თანამშრომლობა, მაგრამ კახა კალაძის იტალიაში ჩამყვან, „მილანის“ ყოფილ მწვრთნელს, როგორც ჩანს, ზაფხულამდე დასვენება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი.

„ამ წუთას არანაირი სურვილი არ მაქვს რომელიმე გუნდში მივიდე და ვუხელმძღვანელო — განაცხადა ძაკერონიმ — დაახლოებით მარტში კი ვინმესთან დაკავშირება უკვე მილირს. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ შემდგომი სეზონი ამთავითვე სწორად დავგეგმო და იმედი მაქვს, რომ სწორედაც ასე მოხდება.“

მაგრამ, როგორც გაირკვა, არის ერთი მზაკვრული ადგილი, რომლის შესახებაც ძაკი ამბობს: „მაგრამ არასოდეს თქვა არასოდეს“.

ეს ადგილი მადრიდია, სადაც, მოგეხსენებათ, არცთუ დიდი ხნის წინ ფეხბურთის დირექტორის თანამდებობაზე არიგო საკი დანიშნეს, საკი კი იტალიელია და ამწუთას დაირხა ხმები, რომ „სამეფო გუნდის“ მწვრთნელად რომელიმე თანამემამულეს მიიყვანს. ერთ-ერთი პირველთაგანი სწორედ ძაკერონი ახსენეს.

„ამ ხმებზე ნამდვილად არაფერი მსმენია, მით უფრო, რომ მადრიდელთა მწვრთნელის თანამდებობაზე ამწუთას პრესასა და ტელევიზიაში უამრავ ადამიანს განიხილავენ. გარდა ამისა, საკის ჩემთვის არ დაურეკავს და მეც „რეალში“ გადასვლა გუნებაშიც არ მქონია და არ მაქვს, მაგრამ...“

და აი, სწორედ აქ თქვა ტაქტიკოსმა ის ცნობილი გამოთქმა. რომელიც ზემოთ მოგახსენეთ: „არასოდეს თქვა არასოდეს!“

**ბაჩუნა ძიდია**

*„ინტერის“ ფეხბურთელთა სიას ბრაზილიელი მეკარე ჟულიო სეზარი დაემატება — ასეთი რამ განაცხადა თავად ფეხბურთელის აგენტმა ჟოსიაშ კარდოსომ. 25 წლის გოლკიპერი „შავ-ლურჯებს“ ჯერ კიდევ ნოემბერში მოეწონათ და მას მერე ცდილობდნენ მასთან ურთიერთობის დალაგებას, ახლა კი, როგორც ჩანს, ხელშეკრულება უკვე მზადაა გასაფორმებლად.*

# ინტერის კარი ჟულიო სეზარისთვის ზაფხულში გაიღება

„მოლაპარაკებები უკვე ბოლო სტადიაზეა — ბრძანა აგენტმა ჟოსიაშ კარდოსომ — ოდნავი გადაჭარბებით რომ ვთქვათ, კონტრაქტის ხელმოწერას ჟულიო სეზარის სამედიცინო შემოწმებაღა აკლია“.

მეკარე, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, „ფლამენგოს“ კარს იცავს და სულ მალე იტალიაშიც ჩავა, მაგრამ „ინტერს“ ჯერ ვერ გამოადგება.

„ამ ეტაპზე მილანელები არაევროკავშირელ ფეხბურთელს ვეღარ დაიმატებენ, რის გამოც ჩვენს წინაშე ორი ვარიანტია, ის „შავ-ლურჯებმა“ ან უნდა იქირაონ ან იყიდონ და ისევ „ფლამენგს“ მიაქირაონ — განმარტა კარდოსომ — ხოლო თუ საბოლოოდ მეორე ვარიანტი გამოვა, მაშინ ჟულიო სეზარს იტალიაში სათამაშოდ ივნისის მერე მოუწევს წასვლა“.

მოგეხსენებათ, „ინტერის“ მეკარეს, ფრანჩესკო ტოლდოს კლუბთან საქმე არეული აქვს და სავარაუდოდ მიდის. ასე რომ, 2004 წლის კოპა ამერიკას მფლობელი გოლკიპერის შეძენის სურვილი მილანელთაგან გასაკვირი ნამდვილად არ არის.

**ბაჩუნა ძიდია**

# ლაციო მაიფრედს ერგო



**როგორც ამბობენ,** „ლაციოში“ დომენიკო კაზოს ადგილს ჯიჯი მაიფრედი დაიკავებს. მოგეხსენებათ, იტალიის დედაქალაქის გუნდმა ბოლო დღეებში დაადასტურა, რომ უახლოეს ხანს მწვრთნელს შეცვლის და ამ დასტურთან ერთად პრესამ გამოიკვლია, რომ ყველაზე სავარაუდო, თანამდებობაზე სწორედ მაიფრედის მისვლაა. მეტიც, ცალკეული ცნობების თანახმად, მაიფრედი უკვე შეუდგა საქმეს, თუმცა ოფიციალურად ეს არსად დადასტურებულა.

მაიფრედის ნამუშევარი აქვს „ბოლონიასა“ და „იუვენტუსში“. ამბობენ, რომ „ლაციო“ მასთან 2005 წლის ივნისამდე ანუ ნახევარწლიან კონტრაქტს გააფორმებს და დაახლოებით 120 ათასი ევროს ტოფას თანხას გადაუხდის.

**ბაჩუნა ძიდია**

# პალიუკას შვებულება გაუგრძელეს

„ბოლონიას“ ცნობილი მეკარე ჯანლუკა პალიუკა ერთი მატჩით დასაჯეს — დისკვალიფიცირებულია. საქმე ის გახლავთ, რომ იტალიის ნაკრების ყოფილი გოლკიპერი ვიდეოფირმა ამხილა. თურმე ნუ იტყვით და, მე-16 ტურის შეხვედრაში, როდესაც „ბოლონია“ „რეჯინას“ შეხვდა, ვეტერანს მეტოქე გუნდის ნახევარმცველის, ჯანდომენიკო მესტოს თმაზე მოუქაჩავს.

ასე და ამგვარად, კარგა ხნის განმავლობაში „ინტერის“ კარის მცველი 6 იანვარს „ბრეშასთან“ ვერ ითამაშებს.

**ბაჩუნა ძიდია**





# გუნდურად და გუნდისთვის

## ბებერ მეფეებს იტალიელი გააცოცხლებს?

*„სანტიაგო ბერნაბეუ“ ზამთრის შესვენებას გაოგნებული ეგებება — მარიანო გარსია რემონის „რეალმა“ საშობაო არდადეგებისწინა მატჩი შინ „სევილიასთან“ წააგო და პრიმერადივიზიონის ცხრილში მეხუთე ადგილზე ჩაინაცვლა. კასტილიური გრანდის ახალი ფეხბურთის დირექტორი, იტალიელი არიგო საკი თავისი მოვალეობის სირთულეს კარგად კი ხვდება, თუმცა იმის იმედიც აქვს, რომ პრიმერას მეორე წრეში „რეალი“ სულ სხვა გუნდი იქნება. საკის მადრიდული AS-ი ესაუბრა*

— გეტყობათ, ოთხშაბათის კოშმარმა თქვენზე ნაკლებად იმოქმედა...

— მოდით, ამ მატჩის წაგებით კატასტროფას ნუ შევქმნით. ბედნიერი ვარ, რომ „რეალის“ ხელმძღვანელობამ ასეთი საპასუხისმგებლო საქმე ჩამაბარა, თუმცა, ცხადია, მერჩივნა, ის თამაში მოგვეგო. სევილიელებთან მატჩი ისეთი არ იყო, რასაც „რეალისგან“ ელოდებიან. ახლახან ბარეზიმ დამირეკა, ახალი თანამდებობა მომილოცა და ასეთი რამ მითხრა: არიგო, წარმატებას გისურვებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მადრიდელების პირველი თამაშის ნახვის მერე მიხვდები, რომ არ მოიწყენ. კლუბში სამუშაო თავზესაყრელი გექნებაო.

— მარიანო რემონზე რას ფიქრობთ?

— მწვრთნელს ყველაზე დიდი ჯაფა ადგას და ვეცდები, მაქსიმალურად დავეხმარო. გუნდი ახლა ცუდ სიტუაციაშია. მდგომარეობა მალე უნდა გამოვასწოროთ — ჩვენთან ხომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ.

— მაგრამ ბოლო ხანებში თითქმის ვერც ერთი რეალელი ძველებურად ველარ თამაშობს?

— ჩვენი ექვსი ან შვიდი მოთამაშე მსოფლიოს ნებისმიერ გუნდში უპრობლემოდ მოხვდებოდა, თუმცა წარმატების მისაღწევად გუნდური თამაშია საჭირო — გუნდურად და გუნდისთვის, მთელს მინდორზე და 90 წუთის განმავლობაში ერთი და იგივე სწრაფი რიტმით. ხომ გახსოვთ, რა შესანიშნავად ითამაშა „სევილიამ“ და როგორ ეხმარებოდნენ ერთმანეთს ფეხბურთელები. როდესაც იერიშებზე გადმოდიოდნენ, ისინი ჩვენზე მეტნი იყვნენ. ნათელია, ასე თამაშის გაგრძელება აღარ შეიძლება. საუკეთესო ფეხბურთელების ყოლა მოგებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს.

— რამდენად მიზანშეწონილია ერთ გუნდში ამდენი ვარსკვლავის თავმოყრა?

— ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ფეხბურთელებით და „სევილიას“ დარი უსიამოვნო მომენტები მათ ღირსებასაც შეურაცხყოფს.

— პრეზიდენტმა იანვრის საფეხბურთო ბაზარზე ახალი ტრანსფერის განხორციელება არ დაგავალათ?

— ცხადია, საჭირო ფეხბურთელთა კანდიდატურებს განვიხილავთ, მაგრამ ყოველგვარი სიჩქარისა და აურზაურის გარეშე. მადრიდში მხოლოდ 24 საათის ჩამოსული ვარ და ვცდილობ, „რეალის“ სტრუქტურაში ჩავიხედო. გულშემატკივართა მიმართ ერთი თხოვნა მექნება — სულ მცირე, მოთმინება გამოიჩინონ. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს და მით უმეტეს, „რეალის“ ჩაძირვაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

— იანვარში ტრანსფერები იქნება თუ არა?

— არ ვიცი. ტრანსფერებზე პრეზიდენტთან მოვილაპარაკებთ და გადაწყვეტილებას მერე მივიღებთ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ თაობის ვარსკვლავთა დრო წავიდა?

— ცხოვრებაში პესიმისტი არასოდეს ვყოფილვარ. ჩვენი ფეხბურთელები ისეთი „ბებრები“ არ არიან, მათი კარიერის დასრულებაზე ვილაპარაკოთ. ერთადერთი, რაც გვაწუხებს, „რეალის“ მართლაც უცნაური პრობლემაა — რატომღაც, მიუხედავად მოთამაშეთა სიძლიერისა, თამაში ვერ ავაწყვეთ.

— ანუ ფიგუ, ზიდანი და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი „ბებრები“ არ არიან?

— არა, თუ ღმერთი გწამთ! კოსტაკურტას, მალდინის ან ბარეზის მსგავსი ბიჭები გაიხსენეთ — ამ ხალხმა მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე თამაში 36, 37 თუ 38 წლისაც მშვენივრად შეიძლება. ვინც პროფესიონალის ცხოვრებით ცხოვრობს, მოედანზე დიდი ხნის განმავლობაში სერიოზული პრობლემა არ შეაწუხებს.

— აქ, მადრიდში, ვარსკვლავებს ხშირად აკრიტიკებენ, რადგან სარეკლამო ბიზნესში ჩაფლულნი თავიანთ მთავარ საქმეს ზერელედ ეკიდებიან...

— დრო იცვლება, ისევე როგორც ცხოვრება და წეს-ჩვეულებანი. მესმის, რომ თითოეულ მათგანს თავისი ბიზნესი აქვს, მაგრამ ფეხბურთი მაინც პირველ ადგილზე უნდა დარჩეს. ეს ასე იყო და ასე იქნება.

— იტალიური გაზეთები წერენ, საკი „რეალის“ ვარჯიშებს არ გააცდენსო...

— ცხადია, დავესწრები, ოღონდ მხოლოდ იმიტომ, რომ გუნდის წვრთნას შევხედო — დამრიგებლის ფუნქციებში ჩარევას არ ვაპირებ, თუ, რა თქმა უნდა, რჩევისთვის თავად არ მომმართეს. ძირითადად კაბინეტში ვიმუშავებ.

— რობინიოზე ვისაუბროთ. ამბობენ, რომ ბრაზილიელი მოგწონთ და კლუბის უფროსობას მისი ტრანსფერის დაჩქარებას სთხოვთ...

— რობინიოსადმი ჩემს სიმპათიას ვადასტურებ, ოღონდ ვარჩევდი, „რეალის“ სადღეისო პრობლემებზე უფრო გვესაუბრა, ვიდრე სამომავლო გეგმებზე.

— რობინიოს ღირსებებზე რას იტყვით...

— ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელია. უკიდურესად სახიფათო მოიერიშე, ფენომენალური სისწრაფე აქვს.

— აშკარად ჩანს, რომ რონალდოს მხოლოდ მეორე ტაიმში თამაში გულზე არ ეხატება...

— რონალდო სათადარიგო ფეხბურთელი არ არის. ოღონდ არ შემეკითხოთ, ძირითადში რატომ ვერ ხვდებოდაო — ეს მწვრთნელის უფლებამოსილებაა და მე მის საქმეში ვერ ჩავერევი.

— პერესმა რაიმე ვადა ხომ არ დაგითქვათ, რომლის განმავლობაშიც წარმატებებს უნდა მიაღწიოთ?

— არა, ძნელია ამის წინასწარ დაგეგმვა. პრეზიდენტმა იცის, რომ „რეალში“. კოლოსალური შრომაა გასაწევი.

— და „ბარსა“, რომელიც პრიმერას ცხრილში „რეალზე“ 13 ქულით წინ იმყოფება...

— წინა სეზონში „ბარსელონა“ 18 ქულით იყო ჩვენზე უკან და დასასრულს გადაგვასწრო. წინ საკმარისი დროა, რომ „რეალმაც“ იგივე გაიმეოროს.










ზიდანი, რონალდო, ფიგუ, ბექემი: არიგო საკის მათი ჯერ კიდევ სჯერა


ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკიმ რეალს ჯილარდინო ურჩია

არიგო საკი „რეალში“ რამდენიმე დღის მისულია, მაგრამ გულშემატკივრები უკვე ელიან მადრიდელთა რიგებში ცვლილებებს და ახალ ტრანსფერებს. თუმცა „სამეფო კლუბი“ თავის მომავალ გეგმებს ჯერჯერობით ასაიდუმლოებს. მიუხედავად ამისა, პრესაში უკვე გაჩნდა ინფორმაცია, თითქოსდა „რეალი“ საკის ინიციატივით იანვარში ახალგაზრდა იტალიელი ფორვარდის, ალბერტო ჯილარდინოს შეძენას შეეცდება.

მართალია, 21 წლის თავდასხმელი შეჭირვებულ „პარმას“ ერთგულებას ეფიცება, მაგრამ ცოტა ხნის წინ იტალიურმა პრესამ იგი „მილანს“ დაუკავშირა და ეს ტრანსფერი, ფაქტობრივად, დასრულებულად გამოაცხადა.

როგორც ამბობენ, „მილანი“ დანიელი ფორვარდის იონ დალ ტომასონის გასხვისებას გეგმავს და სურს, თავდასხმაში ანდრეი შევჩენკოს ჯილარდინო შეუწყვილოს. თუმცა „რეალის“ სახით მილანელებს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ.

როგორც იცით, საკი მადრიდში გადასვლამდე სწორედ „პარმაში“ მუშაობდა და ჯილარდინოს ბრწყინვალედ იცნობს. გამოცდილ სპეციალისტს ახალგაზრდა ფორვარდი არაერთხელ შეუქია და დიდი შანსია, საკიმ მართლაც დაარწმუნოს პერესი და კომპანია, რომ ჯილარდინო მათი გუნდისთვის აუცილებელი მოთამაშეა.

აქვე შეგახსენებთ, რომ პერსპექტიული ფორვარდის შეძენა ძალიან უნდოდათ ტურინის „იუვენტუსს“ და „რომას“, თუმცა იტალიური ფეხბურთის ეს ორი გრანდი უკვე საკმაოდ დიდი ხანია, გვერდზე გადგა. როგორც ჩანს, იანვარში ალბერტო ჯილარდინოსთვის მხოლოდ „მილანი“ და „რეალი“ იბრძოლებენ.

**გიორგი კაკაბაძე**

# საშობაო შვებბა

## როსელიმ ანელკა ამოშალა, ედუ ჩაწერა


სანდრო როსელი

*„ბარსელონამ" წელი „ლევანტეს" ძლევით დაასრულა, უახლოესი მდევარი „ვალენსია" ათი ქულით ჩამოიტოვა და კატალონიური კლუბის მწვრთნელ-ფეხბურთელებიც საშობაო არდადეგებზე გაეშურნენ. გუნდი ნაახალწლევს, 3 იანვარს შეიკრიბება, სადაც ტრავმირებულნიც იქნებიან — ტიაგო მოტა, ედმილსონი, გაბრი, ჰენრიკ ლარსონი და ხერარდი. მოტა და ედმილსონი ამჟამად სარეაბილიტაციო კურსს სან პაულუში გადიან, ლარსონი კი შვედეთში ოჯახის მოსანახულებლად ჩავიდა*




3 იანვარს „ბარსელონა" „კამპ ნოუზე" ივარჯიშებს, მერე ბაზაზე გაემგზავრება. იქ შვიდ იანვრამდე დარჩება, ცხრაში კი „ვილიარეალს" ესტუმრება. დისკვალიფიკაციის გამო ამ შეხვედრაში გუნდს ბელეტი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი ვერ დაეხმარებიან.

რაც შეეხება ახალი მოთამაშეების დამატებას — კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა სანდრო როსელიმ განაცხადა, ნიკოლა ანელკას გადმობირებას აღარ ვაპირებთო. როსელის სავარაუდო შესაძენთა 15-კაციანი ნუსხა შეუდგენია, მაგრამ მათ შორის ანელკა აღარ არის, „არსენალის" ედუ კი კვლავაც „ბარსასთვის" სასურველი ფეხბურთელია.

„ედუ შეიძლება ჩვენს გუნდში აღმოჩნდეს — თქვა ვიცე-პრეზიდენტმა — თუმც მოლაპარაკება ჯერ არ დაგვიწყია. ბრაზილიელ ნახევარმცველს „არსენალთან" კონტრაქტი უმთავრდება და ამის გამო ბევრი მსურველი ჰყავს. ფრან რაიკარდთან საუბრის შედეგად გავარკვევთ სატრანსფერო მთავარსამიზნეებს. ერთი კვირის თავზე გადავწყვეტთ, ვინ უნდა შევიძინოთ. ანელკა გვსურდა, მაგრამ მხოლოდ დროებით, „მანჩესტერ სიტის" კი ფრანგის გაყიდვას ლამობს, თან გვარიანად მსუყე ფასი დაადო. ამჟამად კლუბის ბიუჯეტი ნულზეა, რადგან ზაფხულში ბევრი დავხარჯეთ, თუმც შევეცდებით, რომ ორი-სამი ფეხბურთელისთვის საჭირო ფული მოვიძიოთ. ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტი მოთამაშეების იჯარით აყვანაა, ან ისეთი ფეხბურთელების გადმობირება, რომლებსაც კლუბებთან კონტრაქტი დაუმთავრდათ. სავარაუდო შესაძენთა ნუსხაში ედუს გარდა რამდენიმე პრემიერლიგელი ფეხბურთელია, მაგრამ გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, რადგან მათი გუნდები მაშინვე ფასს მოუმატებენ".

ზემო ვთქვით, რომ ბარსელონელები შვებულებაში წავიდნენ და ახლა ისიც შევიტყოთ, თუ ვინ სად დაისვენებს.

### ფრანკ რაიკარდი

ცოლ-შვილთან ერთად ზღვაზე წავალ და მზის სხივების ვიტამინებით დავიტვირთები.

### კარლეს პუიოლი

პობლა დე სეგურში ოჯახითურთ გავემგზავრები, ახალ წელს კი საცოლის მშობლებთან ერთად შევხვდები.

### რონალდინიო

პორტუ ალეგრიში ჩავალ და ოჯახის წევრებთან ერთად ვიხალისებ.






„ბარსელონას" ნიკოლა ანელკაზე ხელი აუღია, ედუზე კი ჯერაც თვალი უჭირავს

### რაფაელ მარკესი

მექსიკიდან მეგობარ-ნათესავები ჩამოვლენ და ახალ წელს ბარსელონაში დავრჩებით, ცოლ-შვილიც აქ მყავს და გემრიელად მოვილხენთ.

### სამუელ ეტოო

ოჯახურ იდილიაში ჩავეფლობი.

### ხავი

განსაკუთრებულს არაფერს ვაპირებ. ისე აღვნიშნავ შობა-ახალწელს, როგორც ყველა, ოჯახი, მეგობრები, საცოლე და სადღესასწაულო კერძები.

### ვიქტორ ვალდესი

ბარსელონადან არსად მივდივარ, ოჯახთან ვიქნები.

### ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი

ჯერ ჰოლანდიაში მშობლებს მოვინახულებ, მერე კი ცოლ-შვილიანად პარიზში წავალ.

### ანდრეს ინიესტა

მე ალბასეტედან ვარ და აუცილებლად გავემგზავრები მშობლიურ მხარეში. იქ დედ-მამა მელის და საახალწლო სუფრას მთელი ოჯახი შემოვუსხდებით.

### დეკო

სან პაულუში ჩავალ, ცოლი და შვილები უკვე მელიან. შობას მშობლებთან ერთად შევხვდები.

### ბელეტი

ბელო ორიზონტეში გავემგზავრები. მეუღლე, შვილები და ოჯახის სხვა წევრები მელოდებიან. აუცილებლად იქნება ბრაზილიური საახალწლო კერძები.

### დამია

კატალონიიდან არ გავდივარ. ჯერ ჩრდილოეთში, ფიგუერესში მშობლებს ვნახავ, მერე კი სამხრეთში, ვილიაფრანკა დელ პენედესში სიდედრ-სიმამრს ვეწვევი.

### ლეო მესი

არგენტინაში, მშობლიურ როსარიოში მივდივარ. ოჯახის წევრებთან ერთად შემწვარი ღორის ხორცს მივირთმევ.

*„დეპორტივო ლა კორუნიას" თავდამსხმელისთვის, ალბერტ ლუკესთვის 2004 წელი ბედნიერი იყო — 9 ოქტომბერს ბელგიის ნაკრების კარში [illegible] გოლი რომ გაიტანა, ის გოლი მისთვის პირველი იყო ესპანეთის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში. ალბერტ ლუკემ შობის წინ უეფას საინტერნეტო ჟურნალს მისცა ინტერვიუ*

# თოვლის ბაბუა ლუკეს ბებიასთან

— **როგორი იყო მიმავალი წელი თქვენთვის, როგორც პიროვნული, ასევე საფეხბურთო თვალსაზრისით?**

— გასული წელიწადი, უფრო ზუსტად კი გასული სეზონი, „დეპორტივოსთვის" წარმატებული გამოდგა. ჩვენ ესპანეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავედით და ჩემპიონთა ლიგაშიც ნახევარფინალამდე მივედით. ეს ძალიან კარგი იყო, ფინალამდე ხელის ერთი გაწვდენაღა გვრჩებოდა. იმედი მაქვს, რომ წარმატებებს ამ წელიწადშიც მივაღწევთ. მართალია, ახალი სეზონი კარგად ვერ დავიწყეთ, მაგრამ ხომ შეიძლება კარგად დავასრულოთ? პიროვნულად კი... ავად არ ვყოფილვარ, საკუთარი ფეხბურთი მსიამოვნებდა, 2005 წელსაც თუ იგივე იღბალი მექნება, არ დავიჩივლებ.

— **დაწვრილებით გვითხარით როგორ ხვდებით ხოლმე ოჯახში ახალ წელიწადს?**

— წლის განმავლობაში ოჯახისგან შორს ვარ. მე ლა კორუნიაში ვცხოვრობ, ეს კი ჩემი მშობლიური ბარსელონადან ათასი კილომეტრითაა დაშორებული. ამიტომაც, შობა ჩვენს ოჯახში ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა, ერთად ვიკრიბებით ყველანი: მშობლები და ბიძაშვილები... ახლა გვიმართლებს, რადგან საშობაო არდადეგები უფრო ხანგრძლივია. ჩემთვის საშობაო არდადეგები წლის ყველაზე ბედნიერი დღეებია.

— **რაიმე კონკრეტული ჩვეულება ან ტრადიცია თუ აქვს თქვენს ოჯახს?**

— დიახ, ბებიასთან ვიკრიბებით. იქ მოდიან ბიძები, დეიდები, ბიძაშვილები... ჯამში ოცდაათი ადამიანი გროვდება. ვსადილობთ, მუსიკას ვუკრავთ და ტრადიციული საშობაო სიმღერის შემდეგ სხვა უამრავსაც ვმღერით. ყოველთვის დიდებულ დროს ვატარებთ. ძალიან ბევრ სასაცილო ამბებს ჰყვებიან და ახლაც სიამოვნებით მოვუსმენ.

— **ფეხბურთთან დაკავშირებულ საჩუქრებს თუ იღებთ?**

— ჩემი მშობლები დიდი გულშემატკივრები არიან, მაგრამ რომ გითხრათ, მათგან რაიმე საფეხბურთო საჩუქარი მახსოვსო, არ ვიქნები მართალი. წლეულს ყველაზე კარგი საჩუქარი, რაც მივიღე, მიხაელ შუმახერის ხელმოწერილი მაისურა იყო. მე ფორმულა ერთზე ვგიჟდები და შუმახერის დიდი ქომაგი ვარ.

— **რას აკეთებთ გარდა იმისა, რომ ბურთს თამაშობთ?**

— წლეულს მშობლებთან, დასთან, მეგობარ გოგონასთან, ბიძაშვილებთან და მათ შვილებთან ერთად ანდორაში სათხილამუროდ ავალ. ალბათ, თოვლის ველოსიპედზეც დავჯდები და სანამ შევძლებთ გავერთობით.

— **და 31 დეკემბერს?**

— ყოველთვის ვცდილობ, უახლოეს ადამიანებთან ვიყო. ახალი წლის შემობრძანების მომენტში ყველაზე მნიშვნელოვანი ახლობლებთან ყოფნაა.

— **2005 წელს რას ისურვებდით?**

— ჯანმრთელობას და ოჯახის წევრებისა და მეგობრების კარგად ყოფნას, ჩემთვის კი მინდა, ისევ ფეხბურთით ვცხოვრობდე.



# ინგლისი

ირაკლი ნინიძე

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| **ხვალ** | | |
| ჩელსი | : | ასტონ ვილა |
| არსენალი | : | ფულემი |
| ბლექბერნი | : | ნიუკასლი |
| კრ. პალასი | : | პორტსმუთი |
| ევერტონი | : | სიტი |
| მანჩესტერი | : | ბოლტონი |
| ნორვიჩი | : | ტოტენჰემი |
| საუთჰემპტონი | : | ჩარლტონი |
| ბირმინგემი | : | მიდლსბრო |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ლივერპული |
| **XX ტური. 28-29 დეკემბერი** | | |
| ტოტენჰემი | : | კრ. პალასი |
| ბოლტონი | : | ბლექბერნი |
| ჩარლტონი | : | ევერტონი |
| ფულემი | : | ბირმინგემი |
| სიტი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| მიდლსბრო | : | ნორვიჩი |
| პორტსმუთი | : | ჩელსი |
| ლივერპული | : | საუთჰემპტონი |
| ასტონ ვილა | : | მანჩესტერი |
| ნიუკასლი | : | არსენალი |


რუუდ ვან ნისტელროოი

## საადლეისო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 18 | 13 | 4 | 1 | 37:8 | 43 |
| არსენალი | 18 | 11 | 5 | 2 | 45:22 | 38 |
| ევერტონი | 18 | 11 | 4 | 3 | 21:14 | 37 |
| მანჩესტერი | 18 | 9 | 7 | 2 | 28:13 | 34 |
| მიდლსბრო | 18 | 9 | 5 | 4 | 32:22 | 32 |
| ლივერპული | 18 | 8 | 4 | 6 | 28:20 | 28 |
| ჩარლტონი | 18 | 8 | 3 | 7 | 21:28 | 27 |
| ტოტენჰემი | 18 | 7 | 4 | 7 | 21:18 | 25 |
| ასტონ ვილა | 18 | 6 | 7 | 5 | 22:22 | 25 |
| სიტი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:18 | 23 |
| ბოლტონი | 18 | 6 | 5 | 7 | 26:26 | 23 |
| პორტსმუთი | 18 | 6 | 5 | 7 | 23:25 | 23 |
| ნიუკასლი | 18 | 5 | 6 | 7 | 29:35 | 21 |
| ბირმინგემი | 18 | 4 | 8 | 6 | 18:19 | 20 |
| ფულემი | 18 | 5 | 3 | 10 | 20:30 | 18 |
| ბლექბერნი | 18 | 2 | 9 | 7 | 16:30 | 15 |
| ნორვიჩი | 18 | 2 | 9 | 7 | 17:32 | 15 |
| კრ. პალასი | 18 | 3 | 5 | 10 | 19:29 | 14 |
| საუთჰემპტონი | 18 | 2 | 7 | 9 | 18:31 | 13 |
| ვესტ ბრომვიჩი | 18 | 1 | 7 | 10 | 15:36 | 10 |

# საახალწლო ანონსი

*პრემიერლიგის ანონსს ცოტა განსხვავებული ფორმით წარმოგიდგენთ, რაკი ინგლისელები მიჯრით ორ ტურს ატარებენ და ვინაიდან „სარბიელსაც“ მალე საახალწლო არდადეგები დაეწყება, გადავწყვიტეთ, ამ ორი ტურის ანონსი ერთად შემოგთავაზოთ*

**არსენალი VS ფულემი** (შინ)
**და ნიუკასლი** (სტუმრად)

ჩემპიონობის უმთავრეს მაძიებელ „ჩელსის“ დიდად რომ არ ჩამორჩეს, „მეთოფეებს“ წლეულს დარჩენილი ორივე მატჩის მოგება მართებთ. ეს ძნელი მისაღწევი არც უნდა იყოს, რაკი „ფულემი“ ამ სეზონში ძალიან ცუდად თამაშობს და „ნიუკასლისგანაც“ ფაქტობრივად სახელიღაა დარჩენილი. ამ შეხვედრებში „არსენალს“ ალბათ ხოსე ანტონიო რეიესი არ ეყოლება, რომელიც მუხლს მკურნალობს, სამაგიეროდ, ფრედი ლიუნგბერგი მომჯობინდა და საბრძოლველად მზად არის.

**ასტონ ვილა VS ჩელსი** (სტუმრად)
**და მანჩესტესი** (შინ)

საშობაოდ უარეს მეტოქეებს ვერ ინატრებს და რა უნდა მოხდეს, „ასტონ ვილამ“ ქულები რომ დააგროვოს. ამასთან ბირმინგემელთა გერმანელი ნახევარმცველი თომას ჰიცსპერგერი ორივე მატჩს გამოტოვებს.

**ბირმინგემი VS მიდლბრო** (შინ)
**და ფულემი** (სტუმრად)

ბირმინგემელებმა მიჯრით ორ დერბიში იმარჯვეს და ეს ორი თამაშიც თუ მოიგეს, მათ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. თუმცა გუნდში პრობლემებიცაა: „ბოროს“ წინააღმდეგ მარიო მელხიოტი და დუაიტ იორკი ვერ ითამაშებენ, „ფულემთან“ კი, ვნახოთ.

**ბლექბერნი VS ნიუკასლი** (შინ)
**და ბოლტონი** (სტუმრად)

როვერსელებს პირველად დაუპირისპირდება მათი ყოფილი მენეჯერი გრემ სუნესი, ვინაც საქტემბერში მიატოვა ეს გუნდი.

**ბოლტონი VS მანჩესტერი** (სტუმრად)
**და ბლექბერნი** (შინ)

სემ ალარდაისის გუნდი ოქტომბერში ცხრილში მეოთხეც იყო, მერე კი საქმეები ჭაკად წაუვიდა: ბოლო შვიდ მატჩში სულ ორი ქულა დააგროვა. მომდევნო ორ შეხვედრაში კი „ბოლტონს“ ტუნისელი მცველი რადი ჯაიდი არ ეყოლება.

**ჩარლტონი VS საუთჰემპტონი** (სტუმრად)
**და ევერტონი** (შინ)

ბოლო შვიდი თამაშიდან ხუთის მოგებამ „ჩარლტონი“ ცხრილში მეშვიდე ადგილამდე ააგდო. მაგრამ „ათლეტებს“ კევინ ლისბი და ჯონათან იოჰანსონი გამოაკლდათ, რამაც ეგებ პრობლემები შეუქმნათ, განსაკუთრებით კი „ევერტონთან“.

**ჩელსი VS ასტონ ვილა** (შინ)
**და პორტსმუთი** (სტუმრად)

ლონდონელებს რიკარდუ კარვალიუ და სკოტ პარკერი ჰყავთ დაშავებული, მაგრამ არ გვგონია, ამან მათ გამარჯვებებში ხელი შეუშალოს.

**კრისტალ პალასი VS პორსტმუთი** (შინ)
**და ტოტენჰემი** (სტუმრად)

პალასელებს აგერ უკვე შვიდი მატჩი ვერ მოუგიათ, ისე კი, მათ მენეჯერს იან დოუვის ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად ჰყავს.

**ევერტონი VS სიტი** (შინ)
**და ჩარლტონი** (სტუმრად)

ლივერპულელთა ერთადერთი დანაკლისი მუხლმტკივანი ლეონ ოსმანია.

**ფულემი VS არსენალი** (სტუმრად)
**და ბირმინგემი** (შინ)

ლუის ბოა მორტე ტრავმის გამო ვერ დაუპირისპირდება თავის ყოფილ კლუბ „არსენალს“, მაგრამ მეორე თამაშში მონაწილეობა ეგებ შეძლოს. ისე, ლონდონელებს ბოლო შვიდ მატჩში მხოლოდ ერთი აქვთ მოგებული.

**ლივერპული VS ვესტ ბრომვიჩი** (სტუმრად)
**და საუთჰემპტონი** (შინ)

„ლივერპულს“ დაშავებული არავინ ჰყავს და ორ წყალწაღებულ კლუბთან წესით საშობაოდ ექვსი ქულაც უნდა აიღოს.

**სიტი VS ევერტონი** (სტუმრად)
**და ვესტ ბრომვიჩი** (შინ)

პატარა მანჩესტერელებმა გუნდიდან მოკვეთეს ჯოი ბარტონი, ვინაც ამასწინანდელ წვეულებაზე სიგარის ფერფლი შეაყარა თვალებში ერთ სტუმარს. სხვა დანაკლისი „სიტის“ არ აქვს.

**მანჩესტერი VS ბოლტონი** (შინ)
**და ასტონ ვილა** (სტუმრად)

რუუდ ვან ნისტელროოი ვერც ერთ მატჩში ვერ ითამაშებს, უესლი ბრუნი კი „ვილასთან“ ეგებ დაბრუნდეს.

**მიდლსბრო VS ბირმინგემი** (სტუმრად)
**და ნორვიჩი** (შინ)

ჯორჯ ბოატენგის არყოლის მიუხედავად, ბოროელებს ორივე თამაშის მოგების კარგი შანსი აქვთ.

**ნიუკასლი VS ბლექბერნი** (სტუმრად)
**და არსენალი** (შინ)

გრემ სუნერის გუნდმა ბოლო რვა მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო და რვა ფეხბურთელიც დაშავებული ჰყავს — მათ შორის, ალან შირერი.

**ნორვიჩი VS ტოტენჰემი** (შინ)
**და მიდლსბრო** (სტუმრად)

ნორვიჩელთათვის სამწუხაროდ, მათ ამ ორ მატჩში 0 ქულას უწინასწარმეტყველებენ.

**პორტსმუთი VS კრისტალ პალასი** (სტუმრად)
**და ჩელსი** (შინ)

ახალი მენეჯერი ველმირ ზაიჩი ერთბაშად 7 ფეხბურთელს მოისაკლისებს, მათ შორის, ლომანა ლუა ლუასაც.


ჟოზე მაურინიუ

**საუთჰემპტონი VS ჩარლტონი** (შინ)
**და ლივერპული** (სტუმრად)

„წმინდანთა“ 26-წლიანი ეპოპეა უმაღლეს დივიზიონში რომ არ დასრულდეს, ახალ მენეჯერს ჰარი რედნაპს დიდი მუშაობა მოუწევს.

**ტოტენჰემი VS ნორვიჩი** (სტუმრად)
**და კრისტალ პალასი** (შინ)

ნურედინ ნაიბეტი, ვინც წინა ტურიც გამოტოვა, ისევ დაშავებულია. სხვა პრობლემი გუნდში არ არის.

**ვესტ ბრომვიჩი VS ლივერპული** (შინ)
**და სიტი** (სტუმრად)

ბრაიან რობსონი ექვსი ტურის წინ დანიშნა მენეჯერად და კვლავაც პირველი გამარჯვების მოლოდინშია.


რომან აბრამოვიჩი

# იონსენმა აბრამოვიჩის სუფრას მიაფურთხა

**„ჩელსის“** ყოფილი ფეხბურთელი, ნორვეგიელი ერლანდ იონსენი ლონდონში რესტორნიდან გამოაპანღურეს.

იონსენმა რვა წელი ითამაშა „არისტოკრატებში“ და ინგლისის დედაქალაქში მეგობრებთან და ძველ ნაცნობებთან ფეხბურთზე საჭორაოდ ჩავიდა. ნორვეგიელი გაოცდა, რომ მას კლუბის თითქმის ყველა კარი ცხვირწინ მიუხურეს. „ჩელსი“ მკაცრად გასაიდუმლოებელ დაწესებულებას დაემსგავსა. ერლანდ იონსენის უახლოესი მეგობარი სტივ კლარკი ამჟამად ჟოზე მაურინიუს თანაშემწედ მუშაობს, მაგრამ ძმაკაცობამაც კი არ გაჭრა. პორტუგალიელმა მწვრთნელმა ნორვეგიელს ადმინისტრაციული შენობის ფანჯრიდან აყურებინა, როგორ ვარჯიშობდნენ და მოედნის სიახლოვეს არ გააკარა.

ეს კიდევ ადვილი ასატანი იყო იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მოხდა. იონსენი კლუბის რესტორანში იჯდა, როცა რომან აბრამოვიჩის დაცვის წევრებმა იგი გამოაძევეს, აქაოდა, პატრონი მოდის, რუსი მარტო ჭამასაა მიჩვეული და დამსწრეები არ სჭირდებაო.

„მიმიფურთხებია — თქვა ნორვეგიელმა — მაგრამ დიდი სიბრიყვეა, როცა კლუბის თითქმის ყველა თანამშრომელი ახალ პატრონს ასე ელაქუცება“.

**ბაჩა ხუციშვილი**

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი

### XVIII ტური

**პონტევედრა 1:1 ფეროლი**

0:1 ბერმეხო (71), 1:1 ხავი როდრიგესი (87პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კადისი | 18 | 11 | 4 | 3 | 28:10 | 37 |
| ალავესი | 18 | 10 | 5 | 3 | 32:20 | 35 |
| ელჩე | 18 | 9 | 4 | 5 | 26:20 | 31 |
| ეიბარი | 18 | 9 | 4 | 5 | 24:19 | 31 |
| სელტა | 18 | 7 | 9 | 2 | 24:17 | 30 |
| ვალიადოლიდი | 18 | 8 | 6 | 4 | 26:21 | 30 |
| ხიმნასტიკი | 18 | 8 | 4 | 6 | 18:17 | 28 |
| ფეროლი | 18 | 6 | 9 | 3 | 23:16 | 27 |
| უელვა | 18 | 7 | 6 | 5 | 15:12 | 27 |
| ხერესი | 18 | 7 | 6 | 5 | 15:15 | 27 |
| ლეიდა | 18 | 7 | 4 | 7 | 19:20 | 25 |
| პოლი ეხიდო | 18 | 6 | 6 | 6 | 20:17 | 24 |
| ალმერია | 18 | 6 | 6 | 6 | 17:15 | 24 |
| სპორტინგი | 18 | 6 | 6 | 6 | 18:17 | 24 |
| ტენერიფე | 18 | 5 | 8 | 5 | 17:20 | 23 |
| ტერასა | 18 | 6 | 3 | 9 | 21:24 | 21 |
| სალამანკა | 18 | 5 | 5 | 8 | 19:23 | 20 |
| მალაგა B | 18 | 5 | 5 | 8 | 15:23 | 20 |
| მურსია | 18 | 4 | 4 | 10 | 13:25 | 16 |
| სიუდად მურსია | 18 | 2 | 9 | 7 | 20:30 | 15 |
| პონტევედრა | 18 | 2 | 6 | 10 | 17:29 | 12 |
| კორდობა | 18 | 1 | 3 | 14 | 7:24 | 6 |




კრისტიან პანუჩი

# ორნი ქალაქში

## პანუჩი და კივუ რომში რჩებიან

*ორიოდ სიტყვით ვილაპარაკოთ „რომაზე“: ბევრნი ელოდნენ, რომ ამ გუნდის ორი ფეხბურთელი უახლოეს მომავალში ერთად და ერთი მიმართულებით გაუდგებოდა გზას — ლაპარაკია კრისტიან პანუჩისა და კრისტიან კივუს „იუვენტუსში“ გადასვლაზე, მაგრამ როგორც ირკვევა, ასეთ ტრანსფერს არ უნდა ველოდოთ*

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში ბევრს ლაპარაკობდნენ პანუჩის „იუვენტუსში“ გადასვლაზეც. ამბობდნენ, რომ მას ნიკოლა ლეგროტალიეში გაცვლიდნენ, მაგრამ ვეტერანის აგენტმა ოსკარ დამიანიმ ასე განაცხადა:

„პანუჩი „რომაშია“, ის იქ თავს ბედნიერად გრძნობს და არსად გადასვლას არ აპირებს“.

ერთი სიტყვით, მარჯვენა მცველი, რომელიც ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით ჯერ „მილანში“ თამაშობდა, მერე „რეალში“ და ბოლოს „რომაში“, ისევ თავის პედაგოგთან „იუვენტუსში“ აღარ მიდის. სამაგიეროდ, ზემოხსენებული ლეგროტალიე შეიძლება მართლა გადავიდეს დედაქალაქის გუნდში, რადგან იქ მწვრთნელად მისი კიევოსდროინდელი შეფი ლუიჯი დელ ნერი მუშაობს.

რაც შეეხება მიდოს, იგი „რომაში“, სულ მცირე, კიდევ ექვსი თვით დარჩება. ამბობდნენ, რომ ეგვიპტელი თავდამსხმელი მოუთმენლად ელოდა იანვარს, რათა სხვაგან გადაბარგებულიყო, მაგრამ მისმა აგენტმა მინო რაიოლამ საზოგადოებას ასე განუცხადა:

„მიდო დარჩება, რადგან „რომაში“ ის სჭირდებათ. ის სატრანსფეროთა სიაში არ ჩაუწერიათ, არადა ჩემი კლიენტი ესპანურ, ინგლისურ და გერმანულ კლუბებს აინტერესებდათ“.

ამის შემდეგ რაიოლამ თავის მეორე კლიენტზე, ბრაზილიელ მაქსველზეც ილაპარაკა და ჩვენც, თქვენი ნებართვით, მასზე ვთქვათ.

